## ხელშეკრულება № 32

ქ. ქობულეთი „23“ მაისი 2014 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ (ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), მისი დირექტორის ია ხალვაშის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ -- ი/მ „ვახტანგ მაკარაძე“ (პ/ნ 61004015142. ქ.ქობულეთი. რუსთაველის ქ.N120) (შემდგომში - მიმწოდებელი), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც – ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს საჭიროებისათვის 1 (ერთი) ცალი კომპიუტერის -- ლეპტოპი “ASUS X52C CPU-1.7, RAM-4GB,HDD-500GB” მოწოდება.

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1500** (ერთიათასხუთასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის მოწოდებასთან, დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3.3 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

### 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი)სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი“–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

4.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

### 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს უფლებამოსილი პირი- გაერთიანების მნე ზვიად ჯაფარიძე.

5.3 მოწოდებული საქონლის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგად დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014წლის 07 ივლისამდე.

## 13. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

13.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
13.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი **LBRTGE22**, ა/ა **GE64LB011517230080000** , საიდენტიფიკაციო კოდი **446951790;**
13.3 „შემსყიდველი" – ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"

## 14. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი: ქ.ქობულეთი. რუსთაველის ქ.N120
14.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: " საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი: BAGAGE22. ა/ა **GE70BG0000000179823000** საიდენტიფიკაციო კოდი **61004015142;**
14.4 „მიმწოდებელი"– ი/მ „ ვახტანგ მაკარაძე"

**„შემსყიდველი"** – ა(ა)იპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება"

დირექტორი ი.ხალვაში

**„მიმწოდებელი"** – ი/მ „ ვახტანგ მაკარაძე" ვ.მაკარაძე